22 ოქტომბერი, 2012 თბილისი

მიმდინარე წლის 26 ოქტომბერს, 11:00 საათზე სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ გაიმართება პროექტის *„ელექტროენერგიის წამახალისებელი სატარიფო მეთოდოლოგია“* დაწყების ოფიციალური ცერემონიალი.

პროექტი მიზნად ისახავს ენერგეტიკის რეგულირების გაუმჯობესებას საქართველოში. იგი დაეხმარება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას (სემეკი) წამახალისებელი სატარიფო მეთოდოლოგიის ეტაპობრივად დანერგვაში. პროექტი ასევე მოამზადებს ნიადაგს ევრო სტანდარტებთან შესაბამისობის მისაღწევად.

მომდევნო 21 თვის განმავლობაში ავსტრიელი, ბრიტანელი, გერმანელი და ლატვიელი ექსპერტები ქართველ კოლეგებთან ერთად იმუშავებენ ქუთაისში, სადაც სემეკი მდებარეობს.

პროექტი ერთობლივად ხორციელდება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისა (სემეკი) და ავსტრიის ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანოს E-control-ის მიერ.

პროექტი „თვინინგის“ პროგრამის ნაწილია და მისი ბიუჯეტი € 1,1 მლნ ევროა.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:

ბატონ ჯუზეპე ვასკესს, კომუნიკაციისა და ინფორმაციის ოფიცერს,
ევროკავშირის წარმომადგენლობა
ქალბატონ ესტერ შულეს, პროექტის მუდმივ უცხოელ მრჩეველს

პროექტს ახორციელებს
E-Control
www.e-control.at

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

ჩეჩელაშვილის 26
ქუთაისი, 4600, საქართველო
ტელ.: +995 43 1 256122
ფაქსი: +995 43 1 256121

პროექტი დაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ

ევროკავშირის
წარმომადგენლობა
საქართველოში

ნინო ჩხეიძის 38, თბილისი
0102 საქართველო
ტელ.: +995 32 2 943763
ფაქსი: +995 32 2 943768

ევროკომისია ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანოა.

„ევროკავშირი 27 წევრი სახელმწიფოსაგან შემდგარი გაერთიანებაა. მისი წევრები წლების განმავლობაში ერთმანეთს ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებდნენ, ახდენდნენ რესურსების მობილიზებას და ქმნიდნენ საერთო მომავალს. 50 წლის განმავლობაში ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა ერთად შექმნეს სტაბილურობის, დემოკრატიისა და მდგრადი განვითარების სივრცე. ამ პროცესში მათ შეინარჩუნეს კულტურული მრავალფეროვნება, ტოლერანტობა და ადამიანის პირადი თავისუფლება. ევროკავშირის მიზანი მის ფარგლებს გაერთ მყოფი ადამიანებისა და სახელმწიფოებისათვის სწორედ ამ მიღწევებისა და თასიოლოობიის გაზიარებაა.“